მასლიათს დაუშებდა, თითქოს დათვს ესმის რამეო.

— საცოდავო ჩემო ბერი, ასე ერქვა დათვს, — ეუბნებო-
და ზინეტი, — და-ეს კიდევა გცემეს, რომ ისე საცოდავათ ყვი-
როდი და ღმუოდი! კნაუსი და იოპანი ძალიან ავჭი არიან,
მეც მჩაგრავენ ხოლმე.

— ღრრრ. . ღმუოდა დათვი, თითქოს წინანდელი შეუ-
რაცხოფა ავონდებოდა.

— ყური დამიგდე, ბერი, როდესაც მე და შენ გავი-
ზრდებით და შენ ბანჯლვლიანი და ღონიერი გახდები, როგორც

ბრუკი,—სპილო, და იქნება იმაზე უფრო ლონიერიც. მე ზეგვიდა გზე შემისვამ და ქალაქ გამბურგში წავიდეთ... იქ დედა ხემისა მოკვდა... შენ იმას არ იცნობდი, ბერო: აՅ, რა კარგი და კეთილი რამ იყო.

ერთხელ კნაუსმა იმათ ამ გვარ ლაპარაკს ყური მოჰკრა.

— ჰა, ჰა, ჰა! სულელურათ გაღიხარხარა მან—ჩვენმა პატრონმა დიდი განძი შეგვძინა, თურმე მხეცებთან ლაპარაკი სცოდნია.

კნაუსი გალიას მიუახლოვდა, ბავშვი შიშით კუთხეში მიიქცნება, დათუნა კი უკანა ფეხებზე შესდგა და კბილებს აკრაჭუნებდა.

— სულ ამ გოგოს გულისთვის ბრაზობს ეს დათვი! ბატონ, ფრედერიკა, იოპან, მოდით მალე, სეირი უნდა გიჩვენოთ.

— ბიძია კნაუს, გამიშვით, ეხვეწებოდა ზინეტა, გრძნობდა, რომ რაღაც უსიამოვნო ამბავი მოელის.

— გაგიშვა? გაუკვირდა კნაუს,—არა, ჩემო გვრიტო, კნაუსი მაგისთანა სისულელეს არას დროს არ ჩაიდენს. — აქ მოდით ყველანი, აქ მოდით, დაიყვირა კიდევ.

— რა იყო, რა მოხდა, კნაუს? ჰკიოთხა ფრედერიკმა. ეს იყო გველების დამტკრობელი.

თუმცა გველები უამისოთაც სრულებით დამშვიდებულნი იყვნენ, რადგან დაქერის უმალვე გესლიან კბილებს დააძრობდნენ ხოლმე, მაგრამ გარეშე მაყურებლებისთვის მაინც საზარელი სანახავი იყო, მეტადრე როდესაც ფრედერიკა გველს კისერზე შემოიხვევდა, ან გველის თავს პირში ჩაიდებდა.

— ია ეხლავე ნახავთ, რაც არის, მოიცა, ყველანი მოვიდნენ,—იძახდა კნაუსი.

ყველანი შეგროვდნენ.

— უყურეთ, სთქვა კნაუსმა ბერო რა სახით ბრაზობს? სულ იმ გოგოს გულისთვის, უთუოდ ეშინიან. რომ არავინ არაფერი არ ავნოს,—უყურეთ რას უზამა?

გალიის კარები გაალო და შევიდა. ყველანი ყურადღებით შესკეროდნენ. მაგრამ ყველაზე უფრო გულმოდგინეთ



უცურებდა დათუნია, რომელიც კიდევ უკანა ჰქონის უფლებულებები.

— ეხლა, — სთქვა კნაუსმა და გალიის კაზიერიაშვილები;

— მე ამ გოგოს მივარდები.

ზინეტამ საზარლათ დაიწივლა

ჯერ კნაუს ზინეტასთვის შელი არც კი ეხლო, რომ და-
თვი მივარდა კნაუსს, წააქცია და თავისი ბასრი კბილები
მკლავში ჩაისო.

ეხლა კი კნაუსმა შექმნა ლრიალი. გალიის კარები გაა-
ღეს და გასისხლიანებული კნაუსი დათვიანათ ძლიერ გამოა-
თვის. ზინეტამ ამ არეულობით ისარგებლა და გაიძტა.

— ოჟ, მეგო ბარო, უქთხრა იოპანმა, თუ გინდოდა გე-
ჩეენებინა თუ დათვი როგორ იყბინება, ამისთვის ამოდენა
ხალხის შეგროვება სრულებით საჭირო არ იყო.

— დაწყევლილი დათუნია! მე მინდოდა მეჩეენებინა, თუ
როგორ ჰყარველობს ის იმ ბავშვს, — უპასუხა კნაუსმა და
მკლავიდამ სისხლს იწმენდდა.

— ამ დათვს; ამას იქათ, ბეროს კი ნუდარ დაუბახებთ, ეს
რაინდია. — სთქვა ფრედერიკამ, რომელსაც ამას წინაა, ერთი
წიგნი წაეკითხა, სადაც რაინდები და ლამაზი ქალები იყვნენ
აწერილი.

მარტო შავს ლონდონტი ჩუმათ თავის ყალიონს აპო-
ლეპტდა. ბოლოს ხმა ამოილო და სთქვა:

— მადლობა უნდა გადუხადო კნაუსს, რომ ეს შემთხვე-
ვა დაგვანახა. ძალიან ვწერვარ, რომ მელავი იტეინა, მაგრამ
შებ-წყალზი დასველებული ტილო იარას მაღა ჯაუმრთე-
ლებს როდესაც ზინეტა მოვიყვანე, მაშინვე გითხარით, რომ
მხეცების დამატებრობელათ გამოდგება მეთქი. ეხლა შინდა,
რომ დათვმა ზინეტას მფარველობა გაუწიოს და როგორც
ფრედერიკამ სთქვა, ბეროს მაგირად რაინდი დავარქვათ. ჩეენ
აქ გალიაში ორი ლომის ლეკი ჩვეულება. რაინდი იმათთან გა-
ლიაში უნდა შეუშვათ და ზინეტამ უნდა მოუაროს დათვს,
მოეფეროს და ლომები კი როგორც მოუახლოვდებიან, შოლ-
ტით სკეპტს.

— რად გინდათ რომ ეს მხეცები ერთ გალიაში დამ-
წყვდიოთ, ჰყითხა იოპანმა.



— იმიტომ, რომ იქნება შენ მაინც უფრო გამოსულებული მოვალეობა
დე, უპასუხა მაკიმა:

თითონ მაკი გამბურგის უბრალო მეზღვაურის ზეილი
იყო და უსწავლელი, მაგრამ ბუნებით კუთა არ იყოდა. ის
ასე ფიქრობდა, რომ რაკი სამხეცო არის, იმათ რასაკვირვე-
ლია მომვლელები და დამამცხრობელები სკირიათ. ხალხი
ბლობად დაიარება, მაშასადამე მოსწონს, რაც უფრო მეტი
ამაღლელებელი სანახობაა, ხალხიც ეტანება და უყვარს. მაკს
ლინტროცის აძგვარი სურათი წარმოუდგა: გალიაში ორი გამ-
ხეცებული და გაბრაზებული ლოში ზის. უზარმაზარი დათვი
თვალების ბრიალით მთ შეტყურებს, მუხიცა უკრავს. ამ დროს
თეთრ კაბაში მორთულ ბრჭყვიალა მძივებით გულზე ზინეტა
გალიაში შემოდის. ლომები ზინეტასკენ მირჩიან. მავრამ და-
თვი, რომლის ლონე კიდევა იქვთ გამოცდილი, იმორჩილებს.
ისინი სხვა და სხვა გიმნასტიურ მიხვრა-მოხვრას შეასრულებენ
და ზინეტა გალიაში უვნებელი გამოდის. დათვი კარებამდინ
აცილებს.

— ამას რომ ელექტრონის სინათლეც მოუმატოთ და, ნა-
თელი დავადგათ ზინეტას თავზე, ჩასაკვირველია უფრო კარგი
სურათი იქნება.—ამა, ერთი ზინეტა შომგვარეთ. სოქვა მაკიმა.

ფრედერიკა ზინეტასთან გაიქცა.

— მოდი, მოდი, კნაუსისათვის არაეინ არა გცემს! ეუბ-
ნებოდა მას.

— მოდი აქ, ზინეტა,—უთხრა მაკს ლინტრორტმა.

ის კანკალით მოუახლოვდა.

— რაღან შენ ძალიან კარგად შეასრულე შენი მოვა-
ლეობა და დათვი დაიმონავე,—უთხრა მაკიმა და თავზე ხელი
გადაუსვა, შენ საჩუქრის ლირის ხარ, აი ეს ერთი მანეთი,
ტკბილეულობა იყიდე. ზინეტა ფულის გამორთმევას ვერ ბე-
დავდა.

— აიღე, აიღე, ურჩევდა ფრედერიკა.

იმან კრძალვით მანეთი გამოართვა.

— აგრეთვე კატგაუ ეხლა უნდა სხვა მოვალეობა შეა-
სრულო. ბერის ლომებთან ერთად გალიაში დაამწყვდევენ, შენ



კი როგორ უნდა მოიქცე, კნაუსი გასწავლის. უნდა მოიქცე, რომ კნაუსს ყველაფერი უნდა დაუჯერო, ლორებს ამ შეკალებისო, იმათ რომ აღერსი დაგიწყონ, შენ შოლტითა სცენე და ისე მოიშორე. ბეროს კი რამდენიც გინდა მიეფერე და აქამე. მართლა, ბერო დღეის იქით რაინდია, გახსოვდეს, რა-ინდი.

— მეშინიან, წაიბუტბუტა ზინეტამ.

— რისა გეშინიან?

— ბიძია კნაუსისა.

— რათა?

— ის მე მცემს.

— ყველაფერი დაუჯერე და არა გცემს. შენ, ეი, კნაუს! არ გაბედო და ამ ბავშვს ხელი არ ახლო! თქვენ მარტო და-შინება იცით, ესეც სპილო ხომ არ არის.

კნაუსმა უკმაყოფილოთ წაიბუტბუტა.

ყველამ გაიცინეს.

— ეხლა ხომ აღარ გეშინიან.

— მეშინიან... წაიჩურჩულა ზინეტამ, მაკსის სიტყვებით გამხნევებულმა.

— რაო?

— ლომების შემეშინდება, მე ისინი არ მიყვარან, მამა ჩემი მოჰკლეს. ზინეტამ ტირილი მორთო.

— კარგი, შე სულელო! მაკსმა აღერსიანათ თავზე ხელი გადუსვა.

— ეხლა იმას ხომ ვეღარ გააცოცხლებ. ის ძალიან კარგი კაცი იყო, მაგრამ გაუფრთხილებელი. ჩვენც სულ მხეცებ-თანა ვართ, მაგრამ ჯერ არ მოვკლავართ. რა ვიცით, ხვალ ვის რა მოგველის, ნუ შეგეშინდება, მეტადრე მხეცებს ნუ შეამჩნევინებ შენ ჟიშს, ეცადე, შენი საქმე კარგა შეასრულო.

მაკსი წავიდა, ზინეტა კი ტიროდა.

— ბატონმა რა მოგცა, ჰერთხა კნაუსმა.

— ფული, აი! ზინეტამ ხელი გაშალა და დაჭმუქნული ქალალდი უჩვენა.

— ჰმ! დაიღმუილა კნაუსმა.

— ეს შენი ბრალი არ არის? და მკლავი უჩვენებელი
— მე რომ გთხოვე, რათ არ გამიშვი? გიგანტთან
— ჰმ, გამიშვი, განა მე არ ვიცი, როგორც უნდა მოვ-
ქცეულიყვა?

— იცით.

— მაშ, მე ვიცი, რომ შენი ბრალია და პატრონმა კი
ჩემს მაგივრად ფული შენ გაჩუქა. ჩემთვინ უნდა მოეცა.

— წაიღეთ, მე მაინც არ მინდოდა ამელო, მაგრამ ძალა
დომატანეს.

— მე რომ ეგ ფული გამოგართვა, წახვალ, იჩივლებ და
კარგათ მომხვდება, არც იგრეთი სულელი ვარ.

— არა, პატიოსან სიტყვას გაძლევ. რომ არ ვიჩივლებ.

— მაშ, კარგი, მე შენ ტკბილეულობას მოვიტან. თუ
კვიინათ იქნები, დამიჯერებ ხოლმე და რაც ბატონი ფულებს
მოგცემს მე მომიტან, მაშინ ხელს არ გახლებ! ხომ კარგად
გაიგე რაც გითხარი?

— გავიგე...

— ეხლა მე წავალ. დაწყევლილი დათვი! ხელი მისივ-
დება.

ზინეტა დათვთან შევიდა და ტიროდა. დათვი ეხვეო-
და, ეალერსებოდა, სახეს ულოკავდა და ცრემლებს უწინენდდა.

ეკ. მესხი.

(დასასრული იჭიბა)



ა ღ ს დ გ ა!..

დილი არის... ცა კამპამებს...

ტყე იღვიძებს... იფურჩქნება...

ოქროს ცვარი ციმუმითა

სუმბულს შეერდზედ ეპურება...

ცის ტატნობზედ დიდებულად

დღის მნათობი შოსრიალებს

საამბოროდ სხივს ველს აფრქვევს;

ელიმება... შესტრფიალებს!..

ყვავილო შორის კლდის ნიკადი

მთაცურებს ანკარა ცვრებს

და ლიკლიკით წყნარიდ უმდერს

არეს, ტურფიად მოელვარეს:

— „გაიხარეთ, შილსდგა ქრისტე!

ალსდგა მაშერალოთ იმედიო.

ტანჯულ ერის მექომაგე,

წვების წინამორბედიო!

ვერ განუძლო ჩიგრულ ერის

უსამართლო წიგებასო!

ალსდგა!.. და მათ დასახსნელად

ჯვარზედ ეცდა გოლგოთასო:

სიკვდილისა დათრგუნვითა

ალამოლა თვის ერიო

და სამუდმოდ შეიჩვენა

მათი სისხლის მწოველიო!

ვაშ! იმის სულგრძელობას

ვაშ! იმის სახელსაო!..

დე, აღეგზნოს გულში ცეცხლი

მებრძოლს, ამის მნახველსაო!

ვაშ! მეჯლიში... გაიხარეთ!

ალსდგა მაშერალოთ იმედიო!

ტანჯულ ერის მექომაგე

წვების წინამორბედიო!..



ძესანიშნავი ქვეყანა.

(მთგზაურობა ჩრდილოეთ აშენებაში)



აფხულის თბილი საღამოა. უშველებელი დიდი ხომალდი სასიამოვნო რხევით მიცურავს ოკენეებს და ჩვენ მივუყვართ ამერიკის კიდევბისკენ, ქალაქნიუ-ორკუში. დიდ ძალ სავაჭროს და ათას-ზე მეტ მგზავრს ხომალდი მიიზიდავს. ვინც უფრო შეუძლებელია, რომ კარგათ მოწყობილან — გემის პირველ და მეორე ხარისხის აღვილებულება. მათ აქვთ დიდებულათ მორთული პურის-საჭმელი და სასტუმრო ოთახება — ძვირფასი სამკუთხეველია. მათთვის მოწყობილი არის ხომალდის ბანი, საიდამც შეუძლიანთ დასტუმრნი ზღვის ყურებით და მხის ჩასვლა-ამოსვლით. ულითი, როდესაც მხის სხივები ძალიან მოუკერენ და დაცნება — ხომალდის ბანს გადააფარებენ სახურავს, თითქოს თავზე ქოლგა ადგიათო, რომ მგზავრები არ შეწუხდენ.

ლარიბ, უფულო ხალხს ასეთი ბედი არ მოელის. ისინი დაბლა ხომალდის მესამე ხარისხის საერთო ოთახში არიან. მათი რიცხვი აუარებელია. რა ტომის ხალხი გინუა, რომ მათ-ში არ მოიპოვებოდეს? რა ენაზე არ გაიგონებთ ლაპარაკს. ესენი ერთმანერთზე მიყრილნი არიან, სივიწროვით სულის მობრუნება უჭირთ. დღითი კიდევ არაფერი, რადგან შეუძლიანთ გარეთ გამოვიდენ და ჰაერი ჩაყლაპონ, მაგრამ ლამით ოთახს ჰქეტავენ და ვაი ამათი ბრალი — ძილს ძნელათ თუ ვინმე მოახერხებს.

დღეს აღარავინ იძინებს, ის ცოტა კიდევ და მოუახლოვდებოთ ქალაქ ნიუ-ორკს. ყველა ღელავს. მოუსცენრათ გრ-



ନେବା ତାଙ୍କୁ, ଉପେତ୍ରୀକ୍ଷଣ ମୋହିଂଗ୍ରାନ୍ଟି, ରାମ୍‌ପ୍ରଦୀପ ପାତ୍ରଙ୍କୁ ଅନୁମତି ଦେଇଲୁ
ଏହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ

გარშემო ირევიან გეტები, იალქნიანი ნავები, თათქმის
ერთი მეორეს გაურბისო. ხან და ხან გამოჩნდება თვით ქა-
ლაქი თავისი მაღალი შენობებით და ჩაშევებული ქარხნების
საკვამლებით. მაღლა ჰაერში მოჩანს ბრუკლინის დიდი ხი-
დის რეინის ბადეები. შიგა და შიგ იალქნებ შორის პატარა
კუნძულზე მოჩანს დიდი გამოქანდაკებული ქალი, რომელსაც
ხელები წინ გაშვდენილი აქვს და ერთში უჭირავს ანთებული
მაშალა, თავზე ათასფრად უბრძყევინავს ოქროს გვირგვინა.

ეს თავისუფლების ძეგლია. ეს თითქოს გზის მაჩვენებელი და გამანათებელია იმ ქვეყნისა, საცა ხალხი თვითონ უდღვება თავის საქმეებს. ძეგლი ისეთივე მაღალია, როგორც ეკკლესიის გუმბათის ჯვარი. ამბობენ რომ მარტო იმის თავში მო-თავსდება ორმოცამდის კაცი. მისი მაჩვენებელი თითო სიგძით ხუთ-ექვს ადლის ტოლია. თითო მისი თითო ისეთი სქელია, რომ დიდი ვარცლის სარტყელი ბეჭედათ ზედ ჩამოეცმება. შევ ძეგლში არის გრძებილი კიბე, რომლითაც კაცი ავა მაღლა ძეგლის თავში და გვირგვინიდან შშვენიერი გადასახედა და როგორც ხელის გულშე ისე ჩანს მოელი ნიუ-ორკი.

რამდენსაც ვუახლოვდებოდით ნაპირს, იმდენათ ქალაქი ნათლათ გაჩაღებული მეტად და მეტად მოჩანდა. ნაპირები-დან მოისმოდა ხმაურობა, გუგუნი. ბოლოს ნავსადგურთან ახ-ლოს გემი ჩერდება ლამის გასათიქებლათ. სწორეთ კუჩქულ მენ-ხეტენის ბოლოს. ორავის უშვებენ, რომ ნაპარზე ჩამოვიდენ, რადგან საბაჟო მოხელეებმა უნდა გაშინჯონ გემი.

მართლაც, დილა ადრიანათ საბავო მოხელეები შინჯამენ
ჩვენ ბარგს, ხომ არ წამოგვიღია ჩუმათ ისეთი ნივთები, რომ-
ლის ბავის გადასდა კანონით საკიროა. გაშინჯეს თუ არა
პირველი და მეორე ხარისხის მოგზაურები—ნება მრსკეს მათ
ქალაქში შესვლისა. გადმოსახლებლათ მოსულებს კი შეიყვა-
ნენ გაცალკევებულ ოთახში და იქ ერთხელ კიდევ გაჩირეკა-
ნენ და ვაშოჭირხამენ.

საქმე იმაშია, რომ ამერიკელებს არ ეჭაშნიერდათ დაუტელეცულება უნდათ რომ ევროპიდან ვაღმისახლდენ ღარიბ-ღატაკის შესახულებაა ხი, რადგან იმათი აზრით მოსულნი ევროპიელნი დაჩვეულნი არიან მცირე სამუშავო ფასის მიღებას, მშეერ მწყურვალობას და ამის წყალობით ყველაფერზე კმაყოფილდებიან და სამუშავო დღიური ფასი თანდათან მცირდება, ამიტომ უმუშავრათ დარჩენილი ხალხი ამერიკის ქალაქებში დღითი დღე მატულობს ამ მიხედვის ასაცდენათ შეერთებულ შტატებმა ორიოდ წლის წინეთ დაადგინეს ახალი კანონი, რომლის ძალით ყველა ახალ მოსულებს დასასახლებლათ ჯერ საბაჟო ექიმები გასინჯამენ, ხომ რამე გადამდები და გაუკურნელი სენი არა სჭიროო, მერე ახალ მოსულმა უნდა დაამტკიცოს რომ მათხოვარი არ არი და თან მოჰყევა სამყოფი ფული, რომლითაც რამდენიმე თვეს შეიძლებს თავის იჯახის გამოკვებას და არ იმათხოვერებს. უკეთესია, როდესაც უკვე ამერიკაში მცხოვრები ნაცნობი ან ნათესავი დაუხვდებათ. თუ მგზავრი უფლობა და ავათმყოფი მას არ გაუშვებენ რომ ქალაქში შევიდეს და უკანვე გემით გაისტუმრებენ.

უმეტესი ნაწილი გადმოსასახლებლათ მოსულნი გაშინჯვის შემდევ ელიტესებიან დაბინავებას ამ თავისუფალ ქვეყანაში. ისინი უცხო და შეუჩევეველ აღგილას თავს უხერხულათ გრძნობენ—იმიტომ უფრო, რომ ინგლისური ენა არ იციან და არც ნაცნობები და ნათესაუები ჰყავთ. ამათ როგორც გამოუდელებს დაეცემიან ქორივით უფრო თავისიანები და შუამავლებას უწევენ. ეს შუამავალი კაცები ამითი ცხოვრობენ. დაუხვდებიან მოსულ გემებს, ჩაიგდებენ ხელში ახალ მოსულებს, ჰპირდებიან კაი ბირის და სამუშავოს შოვნას. ამათაც უხარიანთ თავისიანებს რომ დაინახავენ და გაიგონებენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს და სანამ დაბინავდებიან და სამუშაოს იშოვნიან ეს მაშუალი კაცები კარგა ფულს დასტყუებენ ხოლმე ამათ.

ძლიერს შევედით შიგ ქალაქ ნიუ-ორკში. უშველებელი გრძელი ქუჩა მღინარის სისწვრით მიღის. ქუჩა გაქვდილია! რა ვიწროობაა! გარშემო რა ხმაურობა და გუგუნია! ფურგუ-



ნები, ურმები სავსეა საქონლით გემებზე მისატანაფრარდული
მე ვერსი უნდა გავიაროთ ასე ნაპირ-ნაპირ, სადაც ჭიშკარი მტკქმე
ლი ნავსაფერებია—ყველგან გაკეთებულია ფანჩატურები, ო-
მელშიაც საპალნები სავაჭროთი და დიღრონი ზის სკო-
რები აწყვია. დიდ ძალ მუშებს გემებიდან გადმოაქვთ და
აწყვინდენ ზედ საქონელს.

აღვილი გამოსაანგარიშებელი არ არი რამდენი საპალნე საქონელი გააქვთ და შემოაქვთ წლის განმავლიაბაში!

ქალაქ ნიუ-ორკის საშუალებით შეაქვთ აქტრიკაში დაბ-
ძალი უცხო მრეწველთა შემუშავებული ნამუშავარი, თუმცა
აუარებელი ქარხნებია და სხვა ხელსაქნარები შეერთებულ
შტატებში, მაგრამ სამყოფი არ არი და სამზღვაო გარეთიდან
ყოველ წლივ შემთაქვთ სამი ათასი დატვირთული საქონლით
გემი. გარდა ამისა ათასზე მეტი იალქნიანი პატარა გემები და-
ტვირთულნი ისინიც საქონლით შესვენებლათ მიღი-ზოდის.

ამერიკიდანაც გადის აუსტრელი საქონელი და თოთქმის ნახევარი მხოლოდ ნიუ-ორკიდან გააქვთ ამ ქალაქის ვაჭრობა მეტათ შესანიშნავია და თვალსაჩინო. ამერიკიდან გააქვთ უზე-ტესათ სამეურნეო საქონელი. აქ პური უფრო მეტი მოლის, ვიდრე საჭიროა ხალხისთვის და რაც მეტია გააქვთ ექროპაში. იქ გააქვთ ყოველ წლივ იმის ათასი გემი სავსე პურით. ევროპაში იგრძეთვე გზავნიან ხოლოშე ბევრ ხორაგეულს.

შეკრთხული შტატები გარდა ამისა გზავნიან სხვა და სხვა ეპოქის და აზის მხარეზე ნავთა. ღიღ ძალ ნავთა ასხამენ საგანგებოო ამისთვის გაკეთებულ ჰურკლებში გემებზე.

აი ნაგესალგურებიც, საიდამაც ევროპაში გზავნიან ნაჩენ
ბამბას. უმცრესათ ამით ვაჭრობს ამერიკა. ზოგჯერ ოთხასი მა-
ლიონი მანეთის ბამბა გააძვით ევროპაში.

მნელი წარმოსადგენია ქალაქი ნიუ-იორკი, სანამ კაცი თავის თვალით არა ნახავს. რაც უფრო დაკვირდებით—ის უფრო და უფრო დიდებულათ მოჩანს. ამერიკაში მაგაზე დიდი ქალიქი არ მოიპოვება. ლონდონის შემდეგ მოელ დედა-მიწაზე სიღიღით არც ერთი ქალაქი არ შეეძრება. სამ მილიონ ნახევარზე შეტი მცხოვრებელია შივ.

იმოფენა აუთებელი სასტუმროები ჩამოგვითვალეს, ასეთი დღიული თითო ღამე რომ გავატაროთ სულ ახალ-ახალ სასტუმროში — სამ წელიწადის გაგზვდება.

ნიუორკის ქუჩებში ტრიალებს ურიცხვი ხალხი; ეტლები, ტრამვაი და ურმები ერთმანეროს არ იკლიან გავლის. ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე ვერ გადახვალო, თუ ქუჩის დარაჯი არ დაგეხმარებათ. ისინი ყოველ ქუჩის შესახვევში დგანან. ერთი ხელის ნიშნით შეაყენებენ ეტლებს და გადიუვანებ ქუჩის მეორე მხარეზე ფეხით მოსიარულებს. წესის დასაცველათ ქუჩებში დიდძალი პოლიციელები ესაჭიროებათ.

ქალაქი ნიუ-ორკი.

დილა ადრიან წავედით ნიუ-ორკის დასათვალიერებლათ. გვინდოდა დაწვრილებით გაგვეშინჯა, მაგრამ მალე დავრჩმუნდით რომ ქალაქი ისეთი დიდია, რომ მას გასაშინჯავათ რამდენიმე კვირა მოგვინდებოდა, ისე რომ მხოლოდ რაც უფრო შესანიშხავი და მეტად საყურადღებო აღგილებია ის უნდა დაგვეთვალიერებინა.

უმთავრესათ უნდა გავიცნოთ ქალაქის მდებარეობა, რადგან ეს არის უმეტესი მიზეზი, რომ ნიუ-ორკი გახდა ისეთი შესანიშხავი ქალაქი. უმთავრესი ნაწილი ქალაქისა იმყოფება ზედ მენხენტენის კუნძულზე, გულძინის მდინარის თავში. ზღვის ყურე ღრმად შედის ნიუ-ორკის ქალაქში და გემების დასადგომით მთელ დედამიწაზე საუკეთესო აღგილათ ითვლება.

კუნძული მენხენტენი სიგძით ოცი ვერსი იქნება, მაგრამ ისეთი ვიწროა, რომ ერთი საათი არც კი მოუნდებით სიგანით გადასვლას. აღგილების ფასი ამ კუნძულზე ისეთი ძვირია, რომ ყოველი მტკაველი ოქროს ფასათ ღირს. რაც დედამიწაზედ მოიპოვება ოქროს მაღნები, რომ იქიდან ამოლებული წლის განმავლობაში თქრო სულ მისცეთ ამ მიწაში, ძლიერ გასწვდება მის საფასათ, თუმცა ეს მიწები ინდოელებისაგან ჩირის ფასათ არის ნაყიდი. რადგან ინდოელები თავისი პატარა ნავებით ვერ მიუდგებოდენ ამ კუნძულს, ამიტომ მათვეის გამოუყენებელი იყო. როდესაც სამასი წლის წინეთ გოლანდია



ელები გაღმოსახლდენ და სთხოვეს ინდოელებს, უწყვეტყოფილება ეს კუნძულით — ისინი ვერ წარმოიდგენდენ, რომ მიწის ფასი ასე ააწევს და დიდი სიმოვნებით დათანხმდენ. მაშინ ინდოელებმა არ იცოდენ ფული რა არის და ნაცვლად კუნძულისა მიიღეს მშივები, ფოლაქები და სხვა ბრტყელიანა ჩხარუნები. გოლანდიელებმა გამართეს აქ პატარა დაბა და დაარქვეს სახელი, თავიანთ დედა ქალაქის სახსოვრათ, „ახალი-ამსტერდამი“. ასე უწოდებდენ ამ ქალაქს, სანამ ინგლისელებმა არ ჩაიგდეს ხელში, მაშინ სახელიც გამოუცვალეს — დაარქვეს „ნიუ-ორენი“.

როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაინიჭეს თავისუფლება და ინგლისელებს ჩამოეცალენ, მაშინ ეს ქალაქი სიდიდით მეორე ქალაქით ითვლებოდა. თანდათან ქალაქს მნიშვნელობა ეძლევოდა და ბოლოს სიდიდით გაასწრო ამერიკის უველა ქალაქებს. მალე ლონდონსაც გაუსწრობს.

უმთავრესი ქუჩა ნიუ-ორენის — ბროდუეა. ამისთანა ცხოველი და ხმიანი ქალაქი დედამიწაზედ არ მოიპოვება. ერთმანეთს არ აცლიან, უველა მირბის, უველა ჩქარობს, უველა ხმაურობს, თქვენც ძალა-უნებურათ მისდევთ ხალხს. ბულვარი შევათ არის მაფე-ნილი: კაცუბით, დედა-კაცუბით, ყმაწველებით, თითქო ერთი მეორეს ვერც კი ხედავს, არც კი ითხება ვინ სად მიდის, ხოლო უველამ თავისი საქმე იცის. ქუჩა მოფენილია ეტლებით, მერე სახლები? ისეთი მაღალია, რომ კაცმა თავი უკან უნდა გადიგდოს, რომ შეხეროს სახურავებს. ზოგი სახლები ოცი და ოცდა ხუთი სართულიანი არიან, ამისთანა სახლებში ორი-სამი სართული მიწაშია და უკველთვის ელექტრონით გაჩაღებულია. ამ ქვემო სართულებში არა ცხოვრობენ, უფრო კანტორები, საწყობები და სტამბები აქვთ გამართული. ზოგ დიდ სახლებში უფრო მეტი მცხოვრებლებია, ვიდრე რომელიმე პატარა ქალაქში.

შეხედეთ ამ დიდ სახლს, რომელშიაც კანტორებია გამართული, — იტყვით ს-სახლეაო. მარმარილოს კაბეებით მოფენილი. ზემოთ სართულში რამდენიმე ასაყვანი მანქანებია, ერთი თვალის დახამხამებაზედ ას კაცზედ მეტი აჭყავთ და ჩა-


მოჰყავთ. ზოგ სახლებში საკუთარი ფოშტა-ტელეგრაფიც ჭრულა ტორაა. შეგვე აქვთ საპარიტახერო, ჩექმების საწმენდი მართვება ხი და ზემო სართულში რამდენიმე რესტორანი.

ყოველგან ეტყობა საქმიანობა, გაცხარებული მუშაობა. თვით ქვემო სართულში აუარებელი საქონელი მზადდება გასასყიდლათ.

ამ ქუჩაშივე არის ქალაქის ბალი, რომელსაც აკრავს რამდენიმე დიდი სახლები. ამ სახლებში არის მოთავსებული სტამბები და დიდრონი გაზეთების რედაქციები. ამის ცოტა მოშორებით სამების ეკლესია, რომლის წინ დიდი სასაფლაოა. აქ დამარხული არიან ზოგიერთი შეერთებული შტატების გამოჩენილი პირები. სასაფლაო მორთულია ხეებით და მშევნეობით. სიჩუმე და სიწყნარე აოცებს კაცს ამ ქუჩის ხმაურობის შემდეგ.

ამ სასაფლაოზე დამარხულია სახელ განთქმული ორთქლმავალ გემების შემომლები რობერტ ფულტონი. პირველად გუდონის მდინარეზე გავიღა მისი გემი ნიუ-ორკიდან— ალბანაშიდან 1807 წელს და მას აქეთ რობერტ ფულტონი ითვლება მამა-მთავრათ ათას გემებისა, რომლებიც მიდი-მოდიან ნიუ-იორკში. ამ სასაფლაოზე მარმარილოს ძეგლ ქვეშ ასევნია ალექსანდრე გამილტონი, რომელმაც შეადგინა ამერიკის კონსტიტუცია.

(გაგრძელება შემდეგ)





გამოცხანები.

ყარაბული ბაშაო
საღილათ კარს მოგვაღვაო,
არც რა ჰქონდა მარხილი,
არც რას გამოგვაღვაო.

— : —

წყალში დაბადებული
წყლისვე ეშინიან.

— : —

მოთ ერხებული მონადირე.

ერთი მონადირე აედევნა შველს და ნაღირობით გატა-
ცებული ისეთ მაღალ კორდზე ავიდა, რომ იქიდან დაბრუ-
ნება ვეღარ შესძლო. მოჰყვა ყვირილს, რომ ვისმეს ეშველა
მოვიდნენ სოფლელები, მაგრამ ვერა გზით ვერ მიუდვნენ,
ისეთი მიუვალი ადგილი იყო. ვერც თოვე მიაწოდეს. გამოი-
ცანით როგორ უშველა თავს მონადარემ, რომელსაც თო-
კიც კი არა ჰქონდა?

— : —

დიასახლისმა მისცა მზარეულს 5 მანეთი და შეუკვეთა
საყიდლათ: ქაომები, ვარიები, კვერცხები, სულ ას (100)
ცალი. მზარეულმა მისცა ქათაში 50 კაპ. ვარიკაში 10 კაპ.
და თითო კვერცხში 1 კაპ. რამდენი ქათამი, ვარიები და
კვერცხები უყიდია მზარეულს?

— : —

ერთმა მონადირემ უთხრა მეორეს: მომეცი შენი ერთი
კურდლელი და მე მაშინ სწორეთ სამჯერ მეტი მექნება.

— არა, უთხრა მეორე მონადირემ, სჯობია შენ მომ-
ცე ერთი კურდლელი, მაშინ თანაბრივ გვექნება. თითოს
რამდენი კურდლელი ჰქონდა?

მელმაც ერთხანათ დიდათ შეაფერხა ასურეთის მეფეთაშორისადაც გამართება

გიგანტების

2. ურართუ. მე-9 საუკუნეში ურართუს სახელმწიფო ვანის ტბილან გოგჩის ტბამდე აღწევდა. სახელი „ურართუ“ ამ ქვეყანამ არარატისაგან მიიღო, რომელსაც ასურელები „ურართუს“ ეძახოდნენ. თავის თავს კი მისი მკვიდრნი „ქალა ებს“ ანუ ქარდუელები (იგივე ქართუელი=ქართველი) უწოდებდნენ. ქართველ ტომთა შორის, ხეთელებს შემდეგ, ძალითა და განათლებით ურართელებს პირველი ადგილი ეჭირათ. მათ ჰქონდათ საკმაოთ განვითარებული სარწმუნოება, ხეროომბ-ლერება, მწერლობა და სალაშქრო წესი; მათს ქვეყანაში ბევრი კარგი ქალაქი და სიმაგრე მოიპოვოდა. იმ დროის დიდონ შენობებს და სარწყავ არხებს განცვიურებაში მოჰყავს დღევანდელი მკვლევარი; ძველი ურართუს არე-მარე სავსეა ურართული წარწერებით; ამ წარწერების გარევანი სახ ასურული ლურსმულია, ენა კი ადგილობრივი—ურართულია, ე. ი., როგორც მეცნიერები ამტკიცებენ. ძველის-ძველი ქართული, ანუ დღევანდელი ქაოთულის ერთი უუძველესი შტოკილოვანი.

ურართუს სახელმწიფომ განსაკუთრებით მე-9 საუკუნეში იწყო ვაძლიერება. 860 წელს ურართუს მეფედ არამე იყო. ამ დროს ურართუს სატახტო ქალაქიდ არზამკუ ითვლებოდა, რომელიც ვანის ტბილან ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობდა მდ. ეფრატის ხეობაში. აღნიშნულ წელს ასურეთის მეფე სალმანასარ II (860—825 წ. ი) პირველით შემოესია ურართუს სამეფოს, ხილო სამი წლის შემდეგ (857 წელს) აიღო მისი სატახტო ქალაქი — არზამკუ.

მავრამ ასურელების გამარჯვება ხანგრძლივი არ ყოფილა. არამეს შემდეგ ურართუს მეფედ სარდური I-ელი და ჯდა, რომელმაც სატახტო ქალაქი ვანის ტბის აღმოსავლეთის ნაპირებზე გადაიტანა (ქალაქი ტუსპა, ანუ დღევანდელი ვანი), რადგან აქედან უფრო იდვილი იყო ასურელების დამარცხება.

სარდურის შემდეგ ურართუში მისი შეილი იშვიანი გა-

მეფდა, რომელმაც პირველმა შემოიღო ლურსმული მწერლებულება ბა ადგილობრივ ენაზე. ამ მიზნით მან ისარგებლა ასურელთა ხარ ლურსმული ნიშნებით, რომელნიც ქართული ენის ხმებს შეუფარდა. ამ მეფის დროს ურართუს ძლიერებამ უუმაღლეს წერტილამდე მიაწია. ამავე მდგომარეობაში იყო ურართუს სახელმწიფო იშვინის შვილის შენუას მეფობაშიაც.

ამ უკანასკნელის შვილმა და მემკვიდრემ აჩვიშტი I-ელმა ყველა თანამოძმე ურართელი ტომი შემოიკრიბა და პირი ქით დაუწყო შესევა ასურეთის სამეფოს, სანამ იგი არ დაამარცხა. მაგრამ ურართულების ძლიერებამ ამის შემდეგ დიდაში აღარ გასტანა.

არგიშტის შემდეგ ურართუს ტახტი სარდური მე-II-ვ დაიკირა. 742 წელს იგი თავისი მოკავშირე ტომებით შეუმილნერეს შეესია, სადაც მას დაუხვდა ასურეთის მეფის ტიგლატ-პილესარ II-ის (745—728 წ.) ძლიერი ლაშქარი. აქ სარდური დამარცხდა და 72,000 კაცმდე ტყვედ და-უტოვა ტიგლატ-პილესარს, თვითონ კი მთებში გახიზვნით გადაირჩნა თავი ტყვეობისაგან. 735 წელს ტიგლატ-პილესარი პირაქეთ შემოესია ურართუს და ოლყა შემოაჩეყა მის დედაქალაქს—ტუსპას. თუმცა ეს ქალაქი ვერ იიღო, მაგრამ დანარჩენი მხარე კი დაიპყრო და გამაედ თავისი მოადგილე დააყენა. რამდენისამე წლის შემდეგ ურართელებმა ისევ ძალა მოიკრიბეს და თავის თანამოძმე დასავლეთის ქართველებთან—მესხებსა და ტაბალებთან, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, კავშირი შეადგინეს ასურეთის ულლის მოსაშორებლად. ამ საქმის დამწყები ტაბალების მეფე ამბარისი იყო, ურართელებს მეფედ რუსა I ჰყავდათ, ხოლო ასურეთს სარგონი განაცემდა (722—705 წ.). 714 წელს სარგონმა ჯერ ვანის აღმოსავლეთით მდებარე პროვინცია მანუ დაიკირა, შემდეგ თვითონ ქალაქ ვანს (ტუსპას) მიმართა და იაღო იგი. ურართუს მეფემ რუსამ ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და თავი მოიკლა.

ამას შემდეგ ურართუს სამეფო წელში აღარ გამართულა. მაგრამ ამისი მიზეზი იყო არა მარტო ასურეთის სამეფო,

არამედ სრულიად ახალი და მოულოდნელი გარემოებსა და მელსაც ახლავე გავეცნობით.

რუსა I ელის შემდეგ ურართუს ტახტზე არგიშტი II ავიდა. სწორეთ ამის მეფობაზი, 710—705 წლებს შორის, ურართუს ოღონისავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით დაიწყო მანამდე უცნობის ველური და ყაჩალი ტომების მოძრაობა. ეს ტომები იყვენ ინდო-გერმანული ანუ არიული მოდგმისა, სახელდობრ: კიმერიელები, აშკუზა ანუ „სკვითები“ და მიდიელები. ეს მოძრაობა შემდეგშიაც გაგრძელდა, თითქმის ერთ საუკუნეს (მე-7 საუკუნის დამლევამდე), და სრულიად ბოლო მოულო როგორც ქართველების მფლობელობას ურართუსა და კაპადოკიაში, ისე თვით ასურეთის სამეფოსაც. დასავლეთით კიმერიელებმა დასცეს მკირე აზიის ორი სამფლობელო: ფრიგია და ლიდია, აგრეთვე მიწასთან გაასწორეს კაპადოკიის მცვიდრი ქართველები: ტაბალნი, მესხენი და კოლხები, რომელთაგან ამ მოძრაობის დროს მრავალი გასწყდა და გადაგვარდა, ზოგმა კი ამიერ-კავკასიის შემოაფარა თავი და გადაგვარებას გადაურჩა. ამავე დღეში ჩაცივდენ ურართუში მცხოვრები ქართველებიც. არაიშტი მე-III-ის შემდეგ ამ მხარეს კიდევ ჰყავდა რამდენიმე მეფე (რუსა II, რუსა III და სარდური III) მე 7 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე. მაგრამ, ინდოგერმანელი „სკვითებისა“ (აშკუზა) და მიდიელების შემოსევის წყალობით, არც ერთს ამ მეფეთაგანს ნამდვილი სამეფო ძალა აღარ შერჩენია: იგინი მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენდენ ურართუს ძველი მეფეებისას. ურართუს უკანასკნელ მეფედ სარდური III ითვლება, რომელიც ისურეთის მეფის ისურბანიპალის (668—626 წ.) თანამედროვე იყო. როცა ინდოგერმანელმა ველურებმა სარდურის ძლიერ გაუკირვეს საქმე, მან ისურბანიპალს დახმარება სოხოვა, მაგრამ ვერც ამით გადაარჩინა სიკვდილს თავისი სამეფო. 607 წელს მიდიის მეფემ კიაქსარმა დაამხო ისურეთის სახელმწიფო და თავისი სამეფოს საზღვრები მდ. ლალისაბავ მიიტნა. ე. ი. მთელი ურართუ და კაპადოკია ახლა მიდიელების ხელში გადავიდა. ამის შემდეგ ურართელი ქართველების ერთი ნაწილი



ახლად შემოსულ ინდოგერმანელებთან შეირჩა და იქედან უკუკურნებელი მოდგრენ ევრეთ წოდებული სომხები; მეორე ნაწილი კი აღა-ქსისა და მტკვრის აუზებში გადმოიკრიფა, სადაც, სხვა ქართველ ტომებთან ერთათ, ნიადაგი მოუმშანდა ახალი სამეფოების აღმოცენებას ჩვენი ისტორიის მეორე პერიოდში.

კითხვები გასამეორებლად. ვინ ვეძანით „აღმოსავლეთის ქართველებს“? რა და რა სახელმწიფოები დაიარსეს აღმოსავლეთის ქართველებმა?

უჩვენეთ ნაირის საზღვრები (ქარტაზე). რა შედგომარეობაში იყო ეს ქვეყანა მე-11 და 9 საუკუნეში?

უჩვენეთ დაახლოებით იცირებულ უ რა რთუ ს სამეფოსი (სამხრეთით და ჩრდილოეთით). საიდან წარმოდგა ეს სახელი? რა ერქვა ამ სამეფოს მეციირთ? რამდენათ განვითარებული იყვენ ქალდები მე-9—8 საუკუნე-ში? ჩამოთვალეთ ურართუს მეფები მე-9—7 საუკუნეში და აღნიშნეთ რათი მოღვაწეობა: რომელი მეფემ გადმოიტანა ტახტი არზაშეუდან ტახტაში? მონახული ქარტაზე ეს ქალაქები. ვინ უმოილო ლურსმელი მწერლობა ურართულ ენაზე? როგორი განწყობილება ჰქონდათ ურართუს მეფეებს: სარდუ რი მე-II-ს ა და რუ ს ა I-ე ლ ს ასერეთ-თან? რომელ წლებში დაიწყეს შემოსევა ინდოგერმანელმა ცელურებმა? როდის დაამხევს მათ ასურეთი და ქართველების სახელმწიფოები? რა მოვეიდა ქართველ ტომებს? როგორ წარმოდგრენ დღევანდელი სომხები? სედ გადასახლდნ ის ქართველები, რომელთაც არ ისურვეს მცენა . დამონებოდენ და გალაგარებულიყვენ?

V.

ქართველი ცომები მე-6--4 საუკუნეში ქ. წინ.

1. ქართველ ტომთა ბინადრობა ამ ხანაში. როგორც წინა თავში შევნიშნეთ, მე-7 საუკუნიდან იწყება ქართველი ტომების მრავლათ გადმოსახლება ჩვენს დღევანდელ სამშობლოში, ე. ი. ქოროხისა, მტკვრისა და რიონ-ენგურის ხეობებში. ამ გადმოსახლების მსვლელობა, რომელიც მე-4 საუკუნის მეორე ნახევრამდე გაგრძელებულა, დაახლოვებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

რიონისა და ენგურის ხეობაში ქართველ ტომთაგან ყველაზე უჭინ სვანები შემოსულიან, რომელთაც პირველათ ის ადგილები სკერიათ, სადაც დღეს სამეგრელოა. ამას ამტ-

საქართველოს ისტორია



კიცებს ზოგიერთი სოფლების სვანური სახელები ეჭიშევრულა
ლობი.

სვანებს მოსდევნებიან კოლხები. რომელთაც ერთხანად
მტკვრის სათავეში უცხოვრიათ (კოლა); აქედან ჯერ ჭოროხი-
სა და შემდევ რიონ-ენგურის აუზებში გაღმოსულიან. ჭორო-
ხის მარცხენა მხარეზე, შავი ზღვის ნაპირებამდე, მათ დაუ-
ტოვებიათ თავისი მონათესავე ტომები: მოსხინიკები და მა-
კრონები, რომელთაც სხვანაირათ კიდევ ზანებს ან ჭანებს
ეძახდენ (იგივე ლაპები).

კოლხების შემდევ კაპადოკიიდან დაძრულან შესხები.
რომელთაც დაუჭერიათ მტკვრის ხეობის უდიდესი ნაწილი,
მისი სათავიდან არაგვამდე. მთელს ამ მხარეს ამის გამო
დარქმევია მცხეთი (იგივე მესხეთი), ე. ი. მესხების ქვეყანა.
რომ მესხების ქვეყანა ერთ ღროს არაგვამდე ყოფილა, ამას
მოწმობს დღემდე დაპტენილი სახელი სოფელ „მცხეთისა“.

მესხებს მოპყოლიან ტაბალები, რომელთაც დაუჭერიათ
შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთად მდებარე მაღლობები, სა-
დაც შიციროდნათ სახელი უცელიათ: **ტაბარენი** ანუ ოი-
ბერი. შემდეგ ეს ტომი წვრილ-წვრილათ შემოსულია ჭო-
როხისა, რიონისა და ყვირილ-ძირულის აუზებში. აქ მისი
სახელი სხვა და სხვა ნაირათ შეცვლილა: ჭოროხის მარჯვე
ნა მხარეზე მას დარქმევია ჰიბერი ანუ ივერი*); რიონის
მარტენა მხარეზე შავ ზღვამდე—ჰევერი ანუ გური (გურია,
გურული); რიონის მარჯვენა მხარეზე—ჰეგერი ანუ ეგერი
(ეგრისი, სამეგრელო—მეგრელი); ხოლო ყვირილისა და ძი-
რულის ხეობაში მისი სახელია—იმერი (იმერეთი). ერთი სი-
ტყვით, ამ ტომს ყველა ქართველ ტომზე მეტი ადგილი და-
უჭერია: ჭოროხის ხეობის უდიდესი ნაწილი და მთელი დღე-
ვანდელი იმერეთი, გურია და სამეგრელო.

ბოლოს ურართუს მხრიდან დაძრულა ძლიერი ტალღა
ქართველებისა, რომელთაც როგორც ვიცით, შერჩენილი

*) ამოთგან ცოტა უფრო აღმოსავლეთით, იმავე ჭოროხის ხეობაში
დასახლებულან ტაოხები, რომელთაც თავისი სახელი თვით ამ მდი-
ნოისთვის გადმოცემია (ჭოროხი—ტაოხი).



ჰქონდათ თავისი სატომო სახელი: ქალდნი ანუ ქართველული ამათ თან და-თან დაუტოვებისათ ვან-არარატის მიღებმცემშე, მომართება დაუტოვებისათ არაქსის მარცხნა მხარეც ქსადაც მათ უცხოელები ალაროდელებს* ეძახდენ) და ბოლოს მტკვრის შუალედი დაუჭერიათ, დებედა-არაგვიდან ბორჯომის ხეობამდე; ხოლო იქ მცხოვრები მესხები იმდენათ გადაუგვარებიათ, რომ მთელი ამ მხრისათვის თავისი სატომო სახელი დაუშევიდრებიათ—ქართლი. სახელი მესხეთი კი (სხვანაირათ სამცემ, ე. ი. სა-მესხე) მარტო მტკვრის ზემო წელს შერჩენია, ბორჯომის ხეობიდან სათავემდე.

ცხადია, ამავე დროს უნდა გადმოსახლებულიყვენ ურართუს მხრიდან მანამდე ისტორიაში უკენობი ქართველი ტომები: კახები და ალბანები, რომელთაგან პირველებს დაუჭერიათ მტკვრის მარცხნა მხარე არაგვიდან ალაზნამდე, ხოლო უკანასკნელებს—ალაზნიდან კასპის ზღვამდე (ალბანია).

ამგვარათ: სვანები, კოლხები, მოსსინიკები და მაკრონები (კინები), ტიბარენ-ჭიბერ-ივერნი (გურულ-მეგრელ-იმერნი), ტაოხნი, ცესხნი, ქართლელნი, კახნი და ალბანნი, —ი ქართველთა მოდგმის უმთავრესი ტომები, რომელთაც ჟე-7—4 საუკუნის განმავლობაში არიელების შემოსვებს თავი გადაარჩინეს და თავის დღევანდელ სამშობლოში სამუდამოთ დაბინავდენ.

ახლა განვიხილოთ მათი პოლიტიკური ვითარება აღნიშნულ პერიოდში.

2. პოლიტიკური ვითარება. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, 607 წელს ასურეთის ნანგრევებზე მიღიელების სამეფო დაარსდა. გაიარა ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტმა და 550 წელს თვით ამ ახალმა საეფომ ადგილი დაუთმო მეორე არიელ ტომს—სპარსელებს. სპარსელების მეფემ კვირისმა მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში თავის სამეფოს დაუმორჩილა ყველა ქვეყნები, რომელნიც წინათ ასრრეთსა და მიღიას ემორჩი-

*) ალაროდიელი იგივე არაროდიელი ანუ არარატელი, ე. ი. ურართულია.

ლებოდენ. ოოგორც სჩანს, კვირასის მემკვიდრებს აშენებული ამიერ-კავკასიაც დაუმორჩილებიათ. სპარსეთის მეფის დარიაზ ჰისტორიას დროს (ა. წ. 486—421 წ.) ქართველების ახალი მიწა-წყალი უკვე სპარსეთის მოხარე იყო: სპარსეთის იმპერიაში ქართველი ტომები მე-18 და მე-19 ოლქს შეადგენდენ (სულ კი დარიაზის იმპერიაში 20-ზე მეტი ოლქი იყო). ეს არი ოლქი სპარსეთის სასარგებლოდ ყოველ წლივ 500 ტალანტს, ე. ი. თოქმის 7.500.000 მანათს იხდიდა. კერძოთ კოლხებს ფულის ხარკი არ ჰქონდათ გაშერილი, სამაგიეროთ ყოველ წლივ 100 კაბუქს და ამდენსავე ყმაშვილ ქალს აგზავნიდენ სპარსეთის სასახლეში. აჩას გარდა თვითეულ ოლქს ჰყავდა სპარსეთის მეფისაგან დადგენილი უფროსი (სატრაპი), რომელსაც თან ახლდა მუდმივი ჯარი სპარსელებისა. ამ ჯარის რჩენაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ევალებოდათ.

სამაგიეროთ, სპარსელები არ ერეოდენ ქართველების შინაურ ცხოვრებაში. მართალია, მას შემდეგ, რაც ქართველები სპარსელებს დაემორჩილენ, მათ საკუთარი სახელმწიფო აღარ ჰქონიათ, მაგრამ შინაურ საქმეებს თვითეული ტომი თვითონ განავებდა. უოველი ტომის უფროსს „მამასახლისი“ ერქვა. ეს იყო „ტომის მამასახლისი“. ტომები კიდევ თემებად და თემები გვარებად იყვენ დაყოფილი. ამათაც თავთავისი მამასახლისები ჰყავდათ, რომელნიც ტომის მამასახლის მორჩილებოდენ.

ამგვარ მდგომარეობაში დარჩენ ქართველი ტომები სპარსეთის იმპერიის დამხობამდე ალექსანდრე მაკედონელის მიერ, 330 წ. ქ. წ. წინ, ე. ი. საქართველოს ისტორიის უუძველესი პერიოდის დასასრულამდე.

3. კულტურა. არიული მოდგმის ველურთა შემოსევამ, ახალის სამშობლოს ნახევრათ ველურ ბუნებასთან ბრძოლამ და ჯუცხო ტომის ხელქვეშ ყოფნამ მე-6—4 საუკუნეში ქართველი ტომები ძლიერ გაიღარიბა და ძირს დასწია კულტურულათ, თუმცა მათი მთლიათ გაველურება კი ვერ შესძლო. პერიოდის ისტორიკოსები მოწმობენ, რომ ამ დროს ქართველები ძველებურათ მისდევდენ ჩიწის მუშაობას, მაღნეულის



შემუშავებას, დფრნის დაყენებას, მეფუტკერეობას, ზერწულება
ნი სელის-ქსოვასაც. მაგალითად, კოლხიდური სელჩუქუმაშვილ
ვილები უცხოეთშიაც კი განთქმული იყო.—ამას გარდა,
როცა სპარსელებმა წინ წაიწიეს კულტურულათ, ამ გარე-
მოებით მათ ხელში მყოფმა ქართველებმაც რამოცხნათმე
ისარგებლეს. მაგალითად, მე-6 საუკუნეში სპარსელებმა ხმა-
რებაში შემოიღეს არამეული ანბანი (არამელები ერთი უუძ-
ველესი კულტურული ხალხი იყო სემიტურის მოდგრისა,
ცხოვრობდა სირიასა და შუამდინარეში). როგორც ქართუ-
ლი ანბანის შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, დაახლოვე-
ბით ამავე დროს (6—4 საუკუნეში) ქართველებსაც ეს არა-
მეული ანბანი შემოულიათ: დღეს ამ ანბანის ნაშთს
ჩვენი ასომთავრული ხუცური წარმოადგენს.—ამავე დროს
ქართველებმა სპარსელებისაგან ზოროასტრის ხარჭმუნოებაც
შეითვისეს. როგორც ვიცით, სპარსეთში იმ დროს ზოროას-
ტრის სარჭმუნოება იყო გავრცელებული. სპარსელებს ორ-
გვარი ღვთაება სწამდათ: ერთი მხრით იდგა სიკეთისა და
სინათლის ღმერთი აჰურა-მაზდა, რომელსაც ქართველები
არაზეს ეძახოდნენ; მეორე მხრით — სიპანელისა და ბოროტის
წარმომადგენელი — არიმანი, რომელიც თავისი დევებათ არ-
მაზისა და ადამიანების მტერი იყო. არიმანს ქართველებმა
„ამირანი“ დაარქვეს, ხოლო დევებს იმავე სახელით იცნ-
დენ. არმაზის ბრწყინვალების გამომხატველათ დედამიწაზე
ცეცხლი ითვლებოდა, რომელსაც ზოროასტრის მიმდევარნი
თაყვანსა სცემდენ. ქართველებმა იმ უუძველეს ხანაში ცეცხ-
ლის თაყვანის ცემაც შეითვისეს. ცეცხლის მსახურ სამღვდე-
ლოებას სპარსეთში „მაგებს“ ეძახოდნენ. „მოგვების“ წოდება
ქართველებშიაც გაჩნდა. მცდალებულებს სპარსელები მიწა-
ში არა მარხავდენ (რადგან მიწა წმინდა საგნად მიაჩნიათ
და ერიდებოდენ მის გაუწმინდურებას), არამედ მაღალ მთებ-
ზე გაძქონდათ და იქა სტოებდენ ფრინველთა და ნადირთა
შესაჭმელად. როგორც ბერძნის მწერლები მოვითხრობდნენ,
ამგვარი ჩვეულება კოლხებშიაც შემოსულია.— რა თქმა უნდა,
ამ ახალ სარჭმუნოებასთან ერთათ, მთელი ქართველობა არც

ХЕЗОЛД

საუმარტვილო ნახატებიახი ქურნალი.

ოცდა პირველი ტელიცელი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.

ვამოვა თვეში ერთხელ. ქურნალში ორი განცოდილებაა
პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ქურნალი „ХЕЗОЛД“

თბილისში ელიტება 4 მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5.
ნახვარი წლით 3 გ.

ცალკე ნომერი 40 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:
მუთაისუ წიგნის მაღაზიას „იმპრეს“ და ბათუმში 8.
კალანდაძეს.

ფოსტის აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинского дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედ.—ვამომცემლი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1910 годъ на газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ 6 р. — к.	за годъ 8 р. — к.
за полгода 3 р. 50 к.	за полгода 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдельныѣ №—5 коп. Загра,
ницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р.,
стъ иногороднаго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова,
общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта
отъ 9-ти до 4-хъ час. два и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. I. Амираджиси.



მიღება ხელის მოვარა 1910 წლისათვის გენერალური
სისტემისათვის

ჩ რ ე ბ ა

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოიციდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ერგებ დღიურ გამოცემას გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით — 5 მან.

10 კაბ., ერთი თვით — 1 მან.

ცალქ სამერი უგედან ერთი მაჟრა. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპერკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1910 წლისა

ხელისმოწერა ჭერ-ჭერადით შიადება შენობაზე ტფილისში:
„დროების“ კანტორაში — ღიღი ვანჭის ქუჩა, № 12; ჭერა-კითხვის სახო-
გადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან — სასხლის ქუჩა, თავად-
აზნ. ქარგასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღლობერიძესთან — მა-
გისტრალი ქუჩჩე, გრიბოედ ჩარევიანის სახლში; რკინის გზის მთავარ
სისწლოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან — ტოკარნი ცეხი.

ხელის მოვარათა საზურადლებოდ

კინტორა უშორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ
ვინიც ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-
ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდე-
საც ეს უკანასკნელნა კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: ფილით 8-დან 3 საა-
თამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: თიფლის, რედაქცია „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ